



საქართველოს ანერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უფროსი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 13/441

12

თ. ქოქჩია

2011 წ.

შპს „კავკასიის სამთო ჯგუფი“-ზე სასარგებლო წიაღისეულის (ფერადი, კეთილშობილი, იშვიათი მეტალები და ბარიტი) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2011 წლის 11 მარტის №4385 კანონის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის, მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების“, „სასარგებლო წიაღისეულის (ფერადი, კეთილშობილი, იშვიათი მეტალები და ბარიტი) შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემისათვის აუქციონის სალიცენზიო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 15 აგვისტოს №1636 განკარგულების, „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 4 აპრილის №1-1/480 ბრძანების, სსიპ - ბუნებრივი რესურსების სააგენტოს სივრცული და გეოლოგიური დეპარტამენტის №11-12/1191 12.08.11წ. სამსახურებრივი ბარათის, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მისაღებად 2011 წლის 3 ოქტომბერს ჩატარებული აუქციონის №19 ოქმის და ლიცენზირების დეპარტამენტის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. გაიცეს შპს „კავკასიის სამთო ჯგუფი“-ზე ბოლნისის, მარნეულის, დმანისის, წალკისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში სასარგებლო წიაღისეულის (ფერადი, კეთილშობილი, იშვიათი მეტალები და ბარიტი) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია 187 823,59 ჰა ფართობზე დანართით



განსაზღვრული X და Y კოორდინატების ფარგლებში 30 წლის ვადით შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

ა) წითელი სოფლის ოქრო-სპილენძის საბადოზე:

ა.ა) არსებული მონაცემების დაზუსტების მიზნით ლიცენზიის გაცემიდან 18 თვის განმავლობაში საბადოს შესწავლილობის გათვალისწინებით ჩაატაროს წინასწარი ან/და დეტალური საძიებო სამუშაოები, (თანამედროვე მეთოდის და სტანდარტების შესაბამისად) რომლებიც საჭიროებისამებრ შეიძლება მოიცავდეს მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს, გეოლოგიური აგეგმვითი სამუშაოებით (რუკების შედგენა-დაზუსტება), გეოქიმიური და გეოფიზიკური კვლევებით, სამთო გამონამუშევრების გაყვანით, ქანების ნივთიერი და მინერალოგიური შესწავლით;

ა.ბ) სამუშაოების შედეგებზე დაყრდნობით ლიცენზიის გაცემიდან 18 თვის გასვლისთანავე შესაბამის ორგანოში მარაგების დამტკიცების მიზნით წარადგინოს Joint Ore Reserves Committee (JORC) ის კოდექსის შესაბამისად შედგენილი, ლიცენზიით გათვალისწინებული სასარგებლო წიაღისეულის მარაგების ანგარიში;

ა.გ) ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასარგებლო წიაღისეულის მარაგების ანგარიშის წარმოდგენასთან ერთად სსიპ - ბუნებრივი რესურსების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) დასამტკიცებლად წარუდგინოს ათვისების გეგმა ყოველწლიურად მოსაპოვებელი რაოდენობის მითითებით.

ბ) დამბლუდის ოქრო პოლიმეტალურ საბადოზე:

ბ.ა) არსებული მონაცემების დაზუსტების მიზნით ლიცენზიის გაცემიდან 24 თვის განმავლობაში საბადოს შესწავლილობის გათვალისწინებით ჩაატაროს წინასწარი ან/და დეტალური საძიებო სამუშაოები, (თანამედროვე მეთოდის და სტანდარტების შესაბამისად) რომლებიც საჭიროებისამებრ შეიძლება მოიცავდეს მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს, გეოლოგიური აგეგმვითი სამუშაოებით (რუკების შედგენა-დაზუსტება), გეოქიმიური და გეოფიზიკური კვლევებით, სამთო გამონამუშევრების გაყვანით, ქანების ნივთიერი და მინერალოგიური შესწავლით;

ბ.ბ) სამუშაოების შედეგებზე დაყრდნობით ლიცენზიის გაცემიდან 24 თვის გასვლისთანავე შესაბამის ორგანოში მარაგების დამტკიცების მიზნით წარადგინოს Joint Ore Reserves Committee (JORC) ის კოდექსის შესაბამისად შედგენილი, ლიცენზიით გათვალისწინებული სასარგებლო წიაღისეულის მარაგების ანგარიში;

ბ.გ) ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასარგებლო წიაღისეულის მარაგების ანგარიშის წარმოდგენასთან ერთად სააგენტოს დასამტკიცებლად წარუდგინოს ათვისების გეგმა ყოველწლიურად მოსაპოვებელი რაოდენობის მითითებით.

გ) ბალიჭის ოქრო-სპილენძის საბადოზე:

გ.ა) არსებული მონაცემების დაზუსტების მიზნით ლიცენზიის გაცემიდან 24 თვის განმავლობაში საბადოს შესწავლილობის გათვალისწინებით ჩაატაროს წინასწარი ან/და დეტალური საძიებო სამუშაოები, (თანამედროვე მეთოდის და სტანდარტების შესაბამისად) რომლებიც საჭიროებისამებრ შეიძლება მოიცავდეს მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს, გეოლოგიური აგეგმვითი სამუშაოებით (რუკების შედგენა-დაზუსტება), გეოქიმიური და გეოფიზიკური კვლევებით, სამთო გამონამუშევრების გაყვანით, ქანების ნივთიერი და მინერალოგიური შესწავლით;

გ.ბ) სამუშაოების შედეგებზე დაყრდნობით ლიცენზიის გაცემიდან 24 თვის გასვლისთანავე შესაბამის ორგანოში მარაგების დამტკიცების მიზნით წარადგინოს Joint Ore Reserves Committee (JORC) ის კოდექსის შესაბამისად შედგენილი, ლიცენზიით გათვალისწინებული სასარგებლო წიაღისეულის მარაგების ანგარიში;



გ.გ) ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასარგებლო წიაღისეულის მარაგების ანგარიშის წარმოდგენასთან ერთად სააგენტოს დასამტკიცებლად წარუდგინოს ათვისების გეგმა ყოველწლიურად მოსაპოვებელი რაოდენობის მითითებით.

დ) დავით გარეჯის ოქრო - ბარიტ - პოლიმეტალურ საბადოზე:

დ.ა) არსებული მონაცემების დაზუსტების მიზნით ლიცენზიის გაცემიდან 36 თვის განმავლობაში საბადოს შესწავლილობის გათვალისწინებით ჩაატაროს წინასწარი ან/და დეტალური საძიებო სამუშაოები, (თანამედროვე მეთოდის და სტანდარტების შესაბამისად) რომლებიც საჭიროებისამებრ შეიძლება მოიცავდეს მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს, გეოლოგიური აგეგმვითი სამუშაოებით (რუკების შედგენა-დაზუსტება), გეოქიმიური და გეოფიზიკური კვლევებით, სამთო გამონამუშევრების გაყვანით, ქანების ნივთიერი და მინერალოგიური შესწავლით;

დ.ბ) სამუშაოების შედეგებზე დაყრდნობით ლიცენზიის გაცემიდან 36 თვის გასვლისთანავე შესაბამის ორგანოში მარაგების დამტკიცების მიზნით წარადგინოს Joint Ore Reserves Committee (JORC) ის კოდექსის შესაბამისად შედგენილი, ლიცენზიით გათვალისწინებული სასარგებლო წიაღისეულის მარაგების ანგარიში;

დ.გ) ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასარგებლო წიაღისეულის მარაგების ანგარიშის წარმოდგენასთან ერთად სააგენტოს წარუდგინოს დასამტკიცებლად ათვისების გეგმა ყოველწლიურად მოსაპოვებელი რაოდენობის მითითებით.

ე) დასავლეთ ქვემო ბოლნისის ოქრო - ბარიტ - პოლიმეტალურ საბადოზე:

ე.ა) ლიცენზიის გაცემიდან 36 თვის განმავლობაში საბადოს შესწავლილობის გათვალისწინებით ჩაატაროს წინასწარი ან/და დეტალური საძიებო სამუშაოები, (თანამედროვე მეთოდის და სტანდარტების შესაბამისად) რომლებიც საჭიროებისამებრ შეიძლება მოიცავდეს მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს, გეოლოგიური აგეგმვითი სამუშაოებით (რუკების შედგენა-დაზუსტება), გეოქიმიური და გეოფიზიკური კვლევებით, სამთო გამონამუშევრების გაყვანით, ქანების ნივთიერი და მინერალოგიური შესწავლით;

ე.ბ) სამუშაოების შედეგებზე დაყრდნობით ლიცენზიის გაცემიდან 36 თვის გასვლისთანავე შესაბამის ორგანოში მარაგების დამტკიცების მიზნით წარადგინოს Joint Ore Reserves Committee (JORC) ის კოდექსის შესაბამისად შედგენილი, ლიცენზიით გათვალისწინებული სასარგებლო წიაღისეულის მარაგების ანგარიში;

ე.გ) ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასარგებლო წიაღისეულის მარაგების ანგარიშის წარმოდგენასთან ერთად სააგენტოს წარუდგინოს დასამტკიცებლად ათვისების გეგმა ყოველწლიურად მოსაპოვებელი რაოდენობის მითითებით.

ვ) აღმოსავლეთ ქვემო ბოლნისის ოქრო სპილენძის და ოქრო პოლიმეტალურ საბადოზე:

ვ.ა) არსებული მონაცემების დაზუსტების მიზნით ლიცენზიის გაცემიდან 36 თვის განმავლობაში საბადოს შესწავლილობის გათვალისწინებით ჩაატაროს წინასწარი ან/და დეტალური საძიებო სამუშაოები, (თანამედროვე მეთოდის და სტანდარტების შესაბამისად) რომლებიც საჭიროებისამებრ შეიძლება მოიცავდეს მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს, გეოლოგიური აგეგმვითი სამუშაოებით (რუკების შედგენა-დაზუსტება), გეოქიმიური და გეოფიზიკური კვლევებით, სამთო გამონამუშევრების გაყვანით, ქანების ნივთიერი და მინერალოგიური შესწავლით;

ვ.ბ) სამუშაოების შედეგებზე დაყრდნობით ლიცენზიის გაცემიდან 36 თვის გასვლისთანავე შესაბამის ორგანოში მარაგების დამტკიცების მიზნით წარადგინოს Joint Ore Reserves Committee (JORC) ის კოდექსის შესაბამისად შედგენილი, ლიცენზიით გათვალისწინებული სასარგებლო წიაღისეულის მარაგების ანგარიში;



ვ.გ) ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასარგებლო წიაღისეულის მარაგების ანგარიშის წარმოდგენასთან ერთად სააგენტოს წარუდგინოს დასამტკიცებლად ათვისების გეგმა ყოველწლიურად მოსაპოვებელი რაოდენობის მითითებით.

ზ) გარდა პირველი პუნქტის "ა", "ბ", "გ", "დ", "ე" და "ვ" ქვეპუნქტებში ჩამოთვლილი საბადოებისა, დანარჩენ ფართობებზე (მადანგამოვლინებების უბნებისათვის):

ზ.ა) შესწავლის ვადა განისაზღვრება 60 თვით ლიცენზიის გაცემიდან;

ზ.ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ლიცენზიის გაცემიდან 24 თვის განმავლობაში ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს დეტალური ძებნა - ძიების გეგმა, რომელიც უნდა მოიცავდეს პერიოდს გეგმის წარმოდგენიდან "ზ.ა" ქვეპუნქტში მითითებული შესწავლის ვადის დასრულებამდე;

ზ.გ) ძებნა ძიების გეგმა უნდა მოიცავდეს სალიცენზიო ფართობის (ტერიტორიის) დაბრუნების გრაფიკს;

ზ.დ) ლიცენზიის გაცემიდან 48 თვის ბოლოს ლიცენზიანტი ვალდებულია გადაიხადოს ამ დროისათვის დარჩენილ ფართობზე - ყოველ ჰექტარზე 500 ლარი;

ზ.ე) ჩატარებული სამუშაოების შედეგებზე დაყრდნობით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ლიცენზიის გაცემიდან 60 თვის ბოლოს შესაბამის ორგანოში მარაგების დამტკიცების მიზნით წარადგინოს Joint Ore Reserves Committee (JORC) ის კოდექსის შესაბამისად შედგენილი, სასარგებლო წიაღისეულის მარაგების ანგარიში და ათვისების გეგმა ყოველწლიურად მოსაპოვებელი რაოდენობის მითითებით;

ზ.ვ) მარაგების ანგარიშის და ათვისების გეგმის წარმოდგენლობა უპირობოდ გახდება წიაღით სარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძველი მთლიანი სალიცენზიო ფართობიდან ამ ტერიტორიის ამორიცხვის გზით.

თ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გადაიხადოს სხვაობა მარაგების დამტკიცების შემდეგ გამოთვლილ ფასსა და აუქციონზე დაფიქსირებულ საბოლოო ფასს შორის, იმის გათვალისწინებით რომ:

თ.ა) სხვაობის პირველი გადახდა მოხდება მას შემდეგ რაც პირველი პუნქტის "ა", "ბ", "გ", "დ", "ე" და "ვ" ქვეპუნქტებსა და "ზ" ქვეპუნქტში განსაზღვრულ ფართობებზე ეტაპობრივად დამტკიცებული მარაგების მიხედვით გამოთვლილი ფასი ან/და ფასების ჯამი გადააჭარბებს აუქციონზე დაფიქსირებულ საბოლოო ფასს, და

თ.ბ) სხვაობის პირველი გადახდის ყოველი შემდგომი გადასახდელი ოდენობა იქნება ცალკეულ ფართობებზე დამტკიცებული მარაგების მიხედვით გამოთვლილი ფასის ოდენობის ტოლი.

ი) თუ სალიცენზიო ფართობზე დამტკიცებული მარაგების მიხედვით გამოთვლილი ფასი ნაკლებია აუქციონზე დაფიქსირებულ საბოლოო ფასზე, ამ შემთხვევაში მეტობით გადახდილი თანხა არ ექვემდებარება დაბრუნებას;

კ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ლიცენზიის მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში არაუგვიანეს ყოველი წლის 1 დეკემბრისა სააგენტოში წამოადგინოს მომავალი წლის სამუშაო გეგმა და ბიუჯეტი. ამგვარი გეგმა ასევე უნდა მოიცავდეს იმ წელიწადს დასაბრუნებელი ფართობის აღწერას (2012 წელს ფართობი არ ექვემდებარება დაბრუნებას);

ლ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ლიცენზიის მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში ყოველწლიურად არა უგვიანეს პირველი აპრილისა წამოადგინოს წინა წლის შესრულებული სამუშაოებისა და ბიუჯეტის ანგარიში;

მ) "კ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ გეგმებში აღწერილი სამუშაოები სავალდებულოა შესასრულებლად. თითოეულ საბადოზე სამუშაოების შეუსრულებლობა უპირობოდ გახდება წიაღით სარგებლობის უფლების შეწყვეტის



საფუძველი შესაბამისი საბადოსათვის, მთლიანი სალიცენზიო ფართობიდან ამ საბადოს ამორიცხვის გზით;

ნ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ხელი არ შეუშალოს სალიცენზიო ფართობში მოქმედი სხვა ლიცენზიებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას. იმ შემთხვევაში თუ ლიცენზიის მფლობელსა და სალიცენზიო ფართობში მოქმედ ლიცენზიანტებს შორის წარმოიშვა სადავო საკითხები სამუშაო ტერიტორიებთან დაკავშირებით და მათ შორის ყველა მცდელობის მიუხედავად ვერ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა, მათი მომართვის საფუძველზე ლიცენზიის გამცემს ექნება უფლება მხარეების ინტერესების გათვალისწინებით გასცეს რეკომენდაციები სადავო საკითხის მოსაგვარებლად;

ო) სახელმწიფო უფლებამოსილია წინამდებარე სალიცენზიო ფართობის გეოლოგიური შესწავლისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე გასცეს ლიცენზიები და ნებართვები (მათ შორის სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა/მოპოვების ლიცენზიები რომლებიც არ იქნება დაკავშირებული ამ ლიცენზიით განსაზღვრული წიაღისეულით სარგებლობასთან);

პ) ლიცენზიის მფლობელი ინარჩუნებს პასუხისმგებლობას ფართობის რეკულტივაციაზე ფართობის დაბრუნების მომენტისათვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ჟ) ლიცენზიის მფლობელი, სალიცენზიო ფართობის ფარგლებში კერძო საკუთრებაში არსებულ მიწაზე სალიცენზიო საქმიანობას განახორციელებს მხოლოდ ასეთი მიწის კერძო მესაკუთრესთან შეთანხმებით;

რ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ხელი არ შეუშალოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას;

ს) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა;

ტ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების შემთხვევაში, ლიცენზიის გამცემი კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს ლიცენზიის მფლობელის ხელმისაწვდომობას, შესაძლებლობას და სამართლებრივ უფლებას განახორციელოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება ლიცენზიის მფლობელის მიერ ლიცენზიის პირობების თანახმად წარმოდგენილი მარაგების ანგარიშების საფუძველზე დამტკიცებული სამთო მინაკუთვნების ფარგლებში, იმ შემთხვევაში თუ სხვა პირზე არ არის გაცემული ლიცენზია ამ ფართობზე;

უ) დადგენილი საფასურის გადახდის შემთხვევაში ლიცენზიის გამცემი უზრუნველყოფს ამ ბრძანების დანართში მითითებული საბადოების შესახებ მისი კუთვნილი (საკუთრებაში არსებული) დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობას;

ფ) ლიცენზიის მფლობელმა დაიცვას „კარიერების უსაფრთხოების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 10 მარტის №53 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები და უზრუნველყოს „ლიცენზირების უწყებათაშორისო ექსპერტთა საბჭოს შემადგენლობის, საქმიანობის წესისა და უფლებამოსილების შესახებ“, „წიაღით სარგებლობის მდგომარეობაზე ინფორმაციის (ანგარიშის), წიაღით სარგებლობის პროექტების, სამთო სამუშაოთა განვითარების გეგმებისა და საბადოთა დამუშავების ტექნოლოგიური სქემების განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის შემადგენლობისა და საქმიანობის წესის შესახებ“, „წიაღით სარგებლობის მდგომარეობაზე ინფორმაციის (ანგარიშის) შედგენის და ლიცენზიის მოქმედების ყოველწლიური აღნიშვნისათვის წარდგენის წესის შესახებ“, „წიაღით სარგებლობის პროექტების, საბადოთა დამუშავების ტექნოლოგიური სქემებისა და

სამთო სამუშაოთა განვითარების გეგმების შედგენის წესის შესახებ“ დებულებების და უწყებრივი სტატისტიკური დაკვირვების ფორმების №1-01, 1-02, 1-03, 1-04 და 1-05 დამტკიცების თაობაზე” საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2003 წლის 1 მაისის №46 ბრძანებით დამტკიცებული „წიაღით სარგებლობის პროექტების, საბადოთა დამუშავების ტექნოლოგიური სქემებისა და სამთო სამუშაოთა განვითარების გეგმების შედგენის წესის შესახებ“ დებულებით განსაზღვრული პირობების შესრულება;

ქ) ლიცენზიის მფლობელმა ყოველწლიურად 1 აპრილიდან 1 მაისამდე სააგენტოში წარადგინოს წერილობითი ანგარიშგება სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ;


ღ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის “გარემოს დაცვის შესახებ“, „წიაღის შესახებ“, “ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ” და „საქართველოს ზღვის, წყალსატევებისა და მდინარეთა ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონებით, შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით და სააგენტოს სივრცული და გეოლოგიური დეპარტამენტის №11-12/1191 12.08.11წ. სამსახურებრივი ბარათით წარმოდგენილი სრული გეოსაინფორმაციო პაკეტის საფუძველზე დადგენილი სხვა პირობები.

2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო შემოთავაზებული თანხა „ბე“-ს გამოკლებით, გადაიხადოს 2011 წლის 5 დეკემბრის ჩათვლით.

3. დაევალოს სააგენტოს ლიცენზირების დეპარტამენტს სალიცენზიო მოწმობის გაცემის უზრუნველყოფა ამ ბრძანების პირველი პუნქტის შესაბამისად.

4. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6), ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი ტატიშვილი
სააგენტოს უფროსის მოადგილე



დანართი (2 გვ)

დამტკიცებულია
სსიპ - ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უფროსის
2011 წლის "12 თებერვალი" № 13/441 ბრძანებით

ბოლნისის, მარნეულის, დმანისის, წალკისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში
სასარგებლო წიაღისეულის (ფერადი, კეთილშობილი, იშვიათი მეტალები და ბარიტი)
საზადოს ადგილმდებარეობის შესახებ

X და Y კოორდინატები

სალიცენზიო ფართობი		
№	X	Y
1	476908.476	4568082.662
2	429927.246	4568082.464
3	429927.076	4608066.490
4	476908.309	4608066.688
187823,59 კა		
სალიცენზიო ფართობში არ შედის ქვემოთ მოცემულ კოორდინატებში მოქცეული ტერიტორია		
5	455645	4579238
6	455902	4579189
7	455924	4579500
8	455810	4579831
9	455544	4580065
10	455418	4579848
26,28 კა		
WGS 1984		

წითელსოფელი		
№	X	Y
1	463509	4585285
2	464316	4585289
3	464488	4585455
4	464981	4585481
5	466317	4585479
6	466834	4585273
7	466837	4584076
8	463466	4584065
9	463097	4584511
471,52 კა		

დამბლული		
№	X	Y
1	448419	4572692
2	449018	4573094
3	449732	4573055
4	450145	4572836
5	450236	4572675
6	450421	4572547
7	450113	4572484
8	449637	4572574
9	449414	4572525
10	449150	4572512
11	448903	4572546
12	448711	4572574
13	448626	4572576
14	448410	4572521
80,47 კა		



ბაღიჭი		
№	X	Y
1	449468	4578512
2	451226	4578346
3	452573	4578014
4	452617	4577194
5	451353	4576232
6	449927	4576086
7	448702	4576408
8	448795	4578112
751,95 ჰა		

დავით-გარეჯი		
№	X	Y
1	453683	4583980
2	453948	4584070
3	454062	4584041
4	454070	4583945
5	453988	4583849
6	453734	4583767
7	453502	4583737
8	453395	4583666
9	453334	4583603
10	453151	4583564
11	453122	4583569
12	452982	4583646
13	452954	4583713
14	452784	4583708
15	452681	4583791
16	452797	4583983
17	453040	4584085
18	453258	4584250
19	453420	4584276
20	453535	4584074
50,81 ჰა		

დასავლეთ ქვემო ბოლნისი		
№	X	Y
1	457587	4584473
2	457790	4584539
3	458219	4584544
4	458142	4584211
5	458019	4584120
6	457933	4584113
7	457605	4584387
18,60 ჰა		

აღმოსავლეთ ქვემო ბოლნისი		
№	X	Y
1	458374	4584615
2	458749	4585191
3	459612	4585540
4	460373	4585305
5	460085	4584535
6	459415	4583266
7	458862	4583266
8	458611	4583584
292,73 ჰა		





საჯარო სამართლის იურიდიული პირი
**მინერალური რესურსების ეროვნული
სააგენტო**



KA020110197026022

თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ: 0 32 2 95 00 30

ბრძანება № 215/ს

18 / თებერვალი / 2022 წ.

„შპს „კავკასიის სამთო ჯგუფი“-ზე სასარგებლო წიაღისეულის (ფერადი, კეთილშობილი, იშვიათი მეტალები და ბარიტი) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ“ სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უფროსის 2011 წლის 12 ოქტომბრის №13/441 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის, „შპს „კავკასიის სამთო ჯგუფი“-ზე გაცემულ სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიაში ცვლილებების შეტანასა და დამატებითი სალიცენზიო პირობების განსაზღვრაზე სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოსათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 8 ნოემბრის N2372 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 25 იანვრის №123 განკარგულებისა და შპს „კავკასიის სამთო ჯგუფის“ განცხადების (სააგენტოში რეგისტრაციის 9334 13.10.2021წ.) საფუძველზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. შპს „კავკასიის სამთო ჯგუფი“-ზე (ს/კ 404908775) სასარგებლო წიაღისეულის (ფერადი, კეთილშობილი, იშვიათი მეტალები და ბარიტი) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ“ სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უფროსის 2011 წლის 12 ოქტომბრის №13/441 ბრძანებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) ბრძანების პირველი პუნქტის „ზ.ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანართი № 1 ჩამოყალიბდეს ამ ბრძანებას თანდართული დანართი №1-ის შესაბამისად;

ბ) ბრძანებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 1⁶ პუნქტი:

„1⁶. მოსაპოვებელი სასარგებლო წიაღისეულის ოდენობები განსაზღვროს:

ა) „კაზრეთის“ (დავით-გარეჯის) ოქრო-პოლიმეტალურ საბადოზე: ოქრო - 1008,9086 (ერთი ათას რვა მთელი ცხრა ათას ოთხმოცდაექვსი მეათიათასედი) კილოგრამის, ვერცხლი - 707,8633 (შვიდას შვიდი მთელი რვა ათას ექვსას ოცდაცამეტი მეათიათასედი) კილოგრამის, სპილენძი - 1749,317 (ათას შვიდას ორმოცდაცხრა მთელი სამას ჩვიდმეტი მეათასედი) ტონის, ტყვია - 4149,5436 (ოთხი ათას ას ორმოცდაცხრა მთელი ხუთი ათას ოთხას ოცდათექვსმეტი მეათიათასედი) ტონისა და თუთია - 8461,8144 (რვა ათას ოთხას სამოცდაერთი მთელი რვა ათას ას ორმოცდაოთხი მეათიათასედი) ტონის ოდენობით;

ბ) „იმედის“ ოქრო-მცირესულფიდურ საბადოზე: ოქრო - 148,52 (ას ორმოცდარვა მთელი ორმოცდათორმეტი მეასედი) კილოგრამის, ვერცხლი - 455,53 (ოთხას ორმოცდათხუთმეტი მთელი ორმოცდაცამეტი მეასედი) კილოგრამის ოდენობით;

გ) „მუშევანი 3-ის“ ოქრო-მცირესულფიდურ საბადოზე: ოქრო - 327,31 (სამას ოცდაშვიდი მთელი ოცდათერთმეტი მეასედი) კილოგრამის, ვერცხლი - 1130,71 (ათას ას ოცდაათი მთელი სამოცდათერთმეტი მეასედი) კილოგრამის, სპილენძი - 743,89 (შვიდას ორმოცდასამი მთელი ოთხმოცდაცხრა მეასედი) ტონის ოდენობით;

დ) „ზვარეთის“ ოქრო-მცირესულფიდურ საბადოზე: ოქრო - 224,749 (ორას ოცდაოთხი მთელი შვიდას ორმოცდაცხრა მეათასედი) კილოგრამის, ვერცხლი - 283,838 (ორას ოთხმოცდასამი მთელი რვაას ოცდათვრამეტი მეათასედი) კილოგრამის ოდენობით;

ე) „დარბაზის“ ოქრო-მცირესულფიდურ საბადოზე: ოქრო - 227,417 (ორას ოცდაშვიდი მთელი ოთხას ჩვიდმეტი მეათასედი) კილოგრამის, ვერცხლი - 623,538 (ექვსას ოცდასამი მთელი ხუთას ოცდათვრამეტი მეათასედი) კილოგრამის ოდენობით;

ვ) „მადნისკლდის“ სპილენძის საბადოზე სპილენძი - 5 043,8 (ხუთი ათას ორმოცდასამი მთელი რვა მეათედი) ტონის ოდენობით“.


2. დაევალოს ლიცენზიის მფლობელს ამ ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

3. დაევალოს ლიცენზირების დეპარტამენტს უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში ცვლილების შეტანა და ახალი სალიცენზიო მოწმობის გაცემის უზრუნველყოფა, ამ ბრძანების პირველი პუნქტის შესაბამისად.

4. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს ლიცენზიის მფლობელისათვის გაცნობის დღიდან.

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №2).

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული
სააგენტოს უფროსის მოვალეობის
შემსრულებელი

ხელმოწერა/ 
შტამპდასმულია
ელემენტრულად

ნანა ზამთარაძე

დასატოვებელი ფართობი 10437.6942 ჰა.

<p>ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, დავით გარეჯის ოქრო-ბარიტ-პოლიმეტალური საბადოს მიწის და სამთო მინაკუთვანის კონტურის კუთხეთა წვეროს კოორდინატები</p>		
Nº	X	Y
1	452367.000	4584437.000
2	455984.000	4584371.000
3	455992.030	4583590.188
4	454500.000	4583590.000
5	454502.000	4583467.000
6	452747.000	4583486.000
7	452727.000	4583605.000
8	452624.000	4583702.000
9	452365.000	4583704.000
S = 311,2347ჰა		
<p>ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, დავით გარეჯის ოქრო-ბარიტ-პოლიმეტალური საბადოს სამთო მინაკუთვანის კონტურის კუთხეთა წვეროს კოორდინატები</p>		
Nº	X	Y
1	452367.000	4584437.000
10	453988.558	4584407.411
11	453988.366	4583472.561
6	452747.000	4583486.000
7	452727.000	4583605.000
8	452624.000	4583702.000
9	452365.000	4583704.000
S = 145,2889 ჰა		

<p>ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მუშევანი 2 ოქრო- სპილენძის საბადოს მიწისა და სამთო მინაკუთვანის კონტურის კუთხეთა წვეროს კოორდინატები</p>		
Nº	X	Y
1	455992.030	4583590.188
2	456001.000	4582718.000
3	456150.000	4579143.000
4	455902.000	4579189.000
5	455924.000	4579500.000
6	455810.000	4579831.000
7	455565.000	4580045.000
8	455676.000	4580222.000
9	455366.000	4580583.000
10	454688.000	4580956.000
11	454127.000	4580956.000
12	453983.000	4580098.000
13	453682.000	4579940.000
14	452983.000	4579280.000
15	452761.000	4581934.000
16	454013.000	4582100.000
17	454290.000	4583210.000
18	452635.000	4583306.000
19	452624.000	4583604.000
20	452624.000	4583702.000
21	452727.000	4583605.001
22	452747.000	4583486.000
23	454502.000	4583467.000
24	454500.000	4583590.000
S=902,9599 ჰა		

<p>ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მუშევანი 2 ოქრო-სპილენძის საბადოს სამთო მინაკუთვნის კონტურის კუთხეთა წვეროს კოორდინატები</p>	
X	Y
1. 454397.000	4582246.000
2. 454502.000	4583467.000
3. 455711.000	4583522.000
4. 456001.000	4582718.000
5. 455711.000	4582246.000
S=175,8559 ჰა	

<p>ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზვარეთის ოქრო- მცირესულფიდური საბადოს მიწისა და სამთო მინაკუთვნის კონტურის კუთხეთა წვეროს კოორდინატები</p>		
№	X	Y
1	455992.030	4583590.188
2	455984.000	4584371.000
3	455844.770	4584373.541
4	456412.000	4586078.000
5	457640.000	4586086.000
6	457605.000	4585304.000
7	457581.000	4585095.000
8	457562.967	4583512.022
S = 381.1914 ჰა		

<p>ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კაზრეთის (დავით-გარეჯი) ოქრო- პოლიმეტალური საბადოს სამთო მინაკუთვნის კონტურის კუთხეთა წვეროს კოორდინატები</p>		
№	X	Y
1	452080.000	4583600.000
2	452367.000	4584437.000
7	453988.558	4584407.411
8	453988.366	4583472.561
9	452747.000	4583486.000
10	452727.000	4583605.000
11	452624.000	4583702.000
12	452624.000	4583604.000
S = 159.7661 ჰა		

ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კაზრეთის (დავით- გარეჯი) ოქრო-პოლიმეტალური საბადოს მიწის მინაკუთვნის კონტურის კუთხეთა წვეროს კოორდინატები	
X	Y
1. 452080.000	4583600.000
3. 452324.000	4584750.000
4. 453549.000	4586647.000
5. 454335.000	4586847.000
6. 454790.000	4585635.000
7. 453988.558	4584407.411
2. 452367.000	4584437.000
S = 379.3782 ჰა	

ბოლნისის მუნიციპალიტეტის
ტერიტორიაზე **იმედის** ოქრო -
მცირესულფიდური საბადოს
მიწისა და სამთო მინაკუთვნი
კონტურის კუთხეთა წვეროს
კოორდინატები

№	X	Y
1	446900.000	4580887.000
2	445515.000	4583006.000
3	446981.000	4585792.000
4	447226.000	4587365.000
5	448121.000	4587524.000
6	448867.000	4586607.000
7	450246.000	4582383.000
8	449919.000	4581927.000
9	449349.000	4582227.000
S = 1779.5391 ჰა		

ბოლნისის მუნიციპალიტეტის
ტერიტორიაზე **დარბაზის** ოქრო-
მცირესულფიდური საბადოს **მიწისა და**
სამთო მინაკუთვნი კონტურის
კუთხეთა წვეროს კოორდინატები

X	Y
1. 446981.000	4585792.000
2. 445515.000	4583006.000
3. 437898.000	4581455.000
4. 437911.000	4582395.000
S = 1371.4417 ჰა	

ბოლნისის მუნიციპალიტეტის
ტერიტორიაზე **მადნისკლდის**
სპილენძის საბადოს **მიწისა და**
სამთო მინაკუთვნი კონტურის
კუთხეთა წვეროს
კოორდინატები

№	X	Y
1	440196.736	4591626.639
2	444860.000	4591172.000
3	447075.000	4591164.000
4	447075.000	4592204.010
5	447922.000	4592220.000
6	447613.000	4591450.000
7	447731.000	4590983.000
8	448689.000	4590156.000
9	449755.000	4590171.000
10	449689.000	4592231.000
11	450738.000	4592231.000
12	450772.315	4589647.746
13	450246.000	4589643.000
14	450246.000	4589468.000
15	446484.000	4589465.000
16	439135.562	4589864.499
17	439716.143	4590828.587
18	439897.000	4590828.000
19	439897.694	4591130.062
S = 1899.6878 ჰა		

<p>ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუშევანი 3-ის ოქრო-მცირესულფიდური საბადოს მიწისა და სამთო მინაკუთვანის კონტურის კუთხეთა წვეროს კოორდინატები</p>		
№	X	Y
1	452005.000	4578369.000
2	451915.000	4580045.000
3	452570.144	4580046.652
4	452651.000	4579367.000
5	453175.000	4578423.000
6	453926.000	4578048.000
7	454514.000	4577865.000
8	455670.000	4577968.000
9	456210.000	4578318.000
11	456001.000	4582718.000
12	455992.030	4583590.188
13	457562.967	4583512.022
14	457558.000	4583076.000
15	457337.000	4582268.000
16	456611.000	4578497.000
17	456348.000	4577127.000
18	453180.000	4577929.000
S = 874.5536 ჰა		

ბოლნისისა და დმანისის მუნიციპალიტეტების
ტერიტორიაზე დასატოვებელი ფართობის
კუთხეთა წვეროს კოორდინატები

№	X	Y
1	443393.014	4582573.914
2	445515.000	4583006.000
3	446900.000	4580887.000
4	447490.000	4580303.000
5	448570.781	4581025.597
6	448686.000	4580670.000
7	448195.000	4580045.000
8	448105.377	4579748.746
9	445896.000	4579263.000
10	445580.000	4579129.000
S=910.0208 ჰა		
WGS 1984		

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის
ტერიტორიაზე დასატოვებელი ფართობის
კუთხეთა წვეროს კოორდინატები

№	X	Y
1	442413	4595275
2	443364	4596884
3	446617	4595248
4	450060	4595245
5	451155	4594041
6	451476	4593119
7	447077	4593107
8	447073	4593753
9	445675	4593753
S=1613.2098 ჰა		
WGS 1984		

დასაბრუნებელი ფართობი - 24246.3180 ჰა

№	x	y	III		
			#	x	y
1	447521.000	4603789.000			
2	448099.000	4600164.000	66	450936.000	4580583.000
3	450640.000	4597305.000	67	451279.000	4580636.000
4	452844.000	4596884.000	68	451393.000	4580379.000
5	452849.000	4593072.000	69	451789.000	4580250.000
6	454257.000	4593061.000	70	451950.000	4580290.000
7	454895.000	4593878.000	71	451689.000	4580769.000
8	455795.000	4593960.000	72	451857.000	4580904.000
9	455755.000	4592046.000	73	451817.000	4581402.000
10	458082.000	4591865.000	74	451905.000	4582373.000
11	458329.000	4591277.000	75	451751.000	4583141.000
12	460637.000	4591347.000	76	452014.000	4583619.000
13	461597.000	4591071.000	77	452324.000	4584750.000
14	461970.000	4590041.000	78	452080.000	4583600.000
15	460520.000	4589710.000	79	452624.000	4583604.000
16	460096.000	4589812.000	80	452635.000	4583306.000
17	460085.000	4590304.000	81	454290.000	4583210.000
18	459517.000	4590664.000	82	454013.000	4582100.000
19	458669.000	4590510.000	83	452761.000	4581934.000
20	458346.000	4590958.000	84	452983.000	4579280.000
21	458090.000	4590780.000	85	453682.000	4579940.000
22	457978.000	4590333.000	86	453983.000	4580098.000
23	456974.000	4590336.000	87	454127.000	4580956.000
24	455675.000	4589822.000	88	454688.000	4580956.000
25	454379.000	4591127.000	89	455366.000	4580583.000
26	453096.000	4591110.000	90	455676.000	4580222.000
27	452477.000	4590317.000	91	455565.617	4580045.984
28	451355.000	4589653.000	92	455544.000	4580065.000
29	450772.315	4589647.746	93	455418.000	4579848.000
30	450738.000	4592231.000	94	455645.000	4579238.000
31	449689.000	4592231.000	95	455902.000	4579189.000
32	447922.000	4592220.000	96	456150.000	4579143.000
33	447075.000	4592204.010	97	456210.000	4578318.000
34	447075.000	4591164.000	98	455670.000	4577968.000
35	447073.000	4593753.000	99	454514.000	4577865.000
36	447077.000	4593107.000	100	453926.000	4578048.000

37	451476.000	4593119.000	101	453175.000	4578423.000
38	451155.000	4594041.000	102	452651.000	4579367.000
39	450060.000	4595245.000	103	452570.144	4580046.652
40	446617.000	4595248.000	104	451915.000	4580045.000
41	443364.000	4596884.000	105	452005.000	4578369.000
42	442413.000	4595275.000	106	449656.000	4578696.000
43	445675.000	4593753.000	107	448816.000	4578292.000
44	444952.000	4591965.000	108	447778.000	4577250.000
45	444525.000	4591963.000	109	446676.000	4577104.000
46	444860.000	4591172.000	110	445713.000	4576858.000
47	440196.736	4591626.639	111	445066.000	4577100.000
48	443971.831	4597895.400	112	439443.460	4577086.631
49	445436.000	4596631.000	113	439443.000	4577287.000
50	446383.000	4596667.000	114	438268.000	4577287.000
51	446384.000	4598034.000	115	437868.000	4580654.000
52	447085.000	4598032.000	116	437304.000	4580978.000
53	447088.000	4600923.000	117	436728.000	4581840.000
54	445792.435	4600918.619	118	435665.000	4582439.000
			119	435226.000	4583085.000
Nº	x	y	120	434563.046	4584148.750
I			121	435712.000	4583385.000
1	442872.000	4592526.000	122	436357.000	4583899.000
2	442872.000	4592000.000	123	435713.000	4585242.000
3	443367.000	4592000.000	124	434573.000	4585124.000
4	443367.000	4592526.000	125	434562.985	4584148.860
II			126	433135.000	4587153.000
1	448194.000	4590988.000	127	433135.000	4587888.000
2	448689.000	4590156.000	128	432125.000	4589093.000
3	447731.000	4590983.000	129	429927.155	4589430.694
4	447919.000	4591073.000	130	438864.221	4589413.921
5	448000.000	4591200.000	131	439135.562	4589864.499
6	448243.000	4591164.000	IV		
III			1	446626.000	4587635.000
1	446484.000	4589465.000	2	446626.000	4586892.000
2	446469.000	4588555.000	3	447043.000	4586892.000
3	447786.000	4588592.000	4	447043.000	4587635.000
4	447827.000	4588996.000	V		
5	448297.000	4588995.000	1	445944.000	4586786.000
6	448552.000	4588805.000	2	445944.000	4587310.000
7	448929.000	4588885.000	3	445449.000	4587310.000
8	449116.000	4587901.000	4	445449.000	4586786.000

9	449595.296	4587820.233	VI		
10	450071.000	4588855.000	1	446142.000	4586276.000
11	450662.000	4588813.000	2	446142.000	4585803.000
12	452327.000	4587864.000	3	446701.000	4585803.000
13	452245.000	4586773.000	4	446701.000	4586276.000
14	451359.000	4586762.000	VII		
15	451344.000	4585953.000	1	443321.000	4585560.000
16	451855.000	4585844.000	2	443321.000	4584876.000
17	451861.000	4585628.000	3	443115.000	4584876.000
18	452063.000	4585365.000	4	443115.000	4584690.000
19	452049.000	4585189.000	5	442684.000	4584690.000
20	451760.000	4584914.000	6	442684.000	4584379.000
21	451739.000	4584496.000	7	443180.000	4584379.000
22	451591.000	4584247.000	8	443180.000	4584574.000
23	451429.000	4583580.000	9	443713.000	4584575.000
24	450932.000	4582915.000	10	443713.000	4584780.000
25	450924.000	4582396.000	11	444012.000	4584780.000
26	450629.000	4582080.000	12	444012.000	4585560.000
27	450413.000	4581555.000	VIII		
28	450010.000	4581516.000	1	440326.000	4580011.000
29	449768.000	4581321.000	2	440813.000	4580010.000
30	449680.000	4580977.000	3	440813.000	4580450.000
31	448686.000	4580670.000	4	440685.000	4580450.000
32	448570.781	4581025.597	5	440685.000	4581147.000
33	447490.000	4580303.000	6	440326.000	4581147.000
34	446900.000	4580887.000	IX		
35	449349.000	4582227.000	1	441234.000	4578910.000
36	449919.000	4581927.000	2	441234.000	4578315.000
37	450246.000	4582383.000	3	441394.000	4578315.000
38	448867.000	4586607.000	4	441394.000	4577896.000
39	448121.000	4587524.000	5	442171.000	4577894.000
40	447226.000	4587365.000	6	442171.000	4578373.000
41	446981.000	4585792.000	7	441805.000	4578373.000
42	437911.000	4582395.000	8	441805.000	4578786.000
43	437898.000	4581455.000	9	441683.000	4578786.000
44	443393.014	4582573.914	10	441683.000	4579019.000
45	445580.000	4579129.000	11	441394.000	4579019.000
46	445627.000	4578839.000	12	441394.000	4578910.000
47	445237.000	4578625.000	X		
48	445002.000	4578208.000	1	457975.000	4588017.000
49	445351.000	4577883.000	2	459034.000	4587107.000

50	445350.000	4577203.000	3	459424.000	4587117.000
51	445707.000	4576864.000	4	459468.000	4586345.000
52	445714.000	4576863.000	5	459870.000	4586355.000
53	446210.000	4577106.000	6	460249.000	4586645.432
54	446264.000	4577382.000	7	460127.000	4587037.000
55	446398.000	4577530.000	8	460429.000	4588054.000
56	446741.000	4577360.000	9	463919.000	4588033.000
57	446862.000	4577582.000	10	464532.000	4587393.000
58	447722.000	4577580.000	11	464844.000	4587370.000
59	449362.000	4578862.000	12	464699.000	4587001.000
60	449813.000	4578901.000	13	464030.000	4586723.000
61	450209.000	4578718.000	14	463505.000	4586076.000
62	450605.000	4578980.000	15	463370.264	4585368.563
63	450169.000	4579379.000	16	460439.000	4585328.000
64	449921.000	4579912.000	17	459708.000	4585577.000
65	450728.000	4580712.000	18	457605.000	4585304.000
			19	457640.000	4586086.000
			20	456412.000	4586078.000
			21	455844.770	4584373.541
			22	453988.558	4584407.411
			23	454790.000	4585635.000
			24	454335.000	4586847.000
			25	454974.000	4587472.000
			26	455068.000	4587944.000
			27	455680.000	4588750.000
			28	456077.000	4589093.000
			29	457196.000	4589082.000
			30	457998.000	4588766.000
			XI		
			1	447979.000	4579331.000
			2	447078.000	4579145.000
			3	445896.000	4579263.000
			4	448105.377	4579748.746



საჯარო სამართლის იურიდიული პირი

მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო



KA020123842517122

თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ: 0 32 2 95 00 30

ბრძანება № 658/ს

07 / ივნისი / 2022 წ.

შპს "კავკასიის სამთო ჯგუფი"-ზე (ს/ნ 404908775) სასარგებლო წიაღისეულის (ფერადი, კეთილშობილი, იშვიათი მეტალები და ბარიტი) შესწავლა-მოპოვების მიზნით გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების №10002708 ლიცენზიის ნაწილის სს "RMG Copper"-ზე (ს/ნ 225358341) საკუთრებაში გადაცემისა და სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უფროსის 2011 წლის 12 ოქტომბრის №13/441 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“ დებულების 7³ მუხლის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 4 იანვრის №1-1/2 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის, შპს "კავკასიის სამთო ჯგუფი"-სა და სს "RMG Copper"-ს შორის გაფორმებული 30.05.2022წ. ხელშეკრულების (დამოწმების თარიღი: 30.05.2022წ.), შპს "კავკასიის სამთო ჯგუფი"-სა და სს "RMG Copper"-ის განცხადებების (№4579; №4578 31.05.2022წ.) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ შპს "კავკასიის სამთო ჯგუფი"-ზე (ს/ნ 404908775) სასარგებლო წიაღისეულის (ფერადი, კეთილშობილი, იშვიათი მეტალები და ბარიტი) შესწავლა-მოპოვების მიზნით გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების №10002708 ლიცენზიის ნაწილი (მინისა და სამთო მინაკუთვნი, განსაზღვრულია X და Y კოორდინატების ფარგლებში ამ ბრძანების დანართი №2-ის შესაბამისად), ბოლნისის მუნიციპალიტეტში, „იმედის“ ოქრო-მცირესულფიდურ საბადოზე: ოქრო - 148,52 (ას ორმოცდარვა მთელი ორმოცდათორმეტი მეასედი) კილოგრამის და ვერცხლი - 455,53 (ოთხას ორმოცდათხუთმეტი მთელი ორმოცდაცამეტი მეასედი) კილოგრამის ოდენობით მოპოვება, ლიცენზიის მოქმედების პერიოდში, გადაეცა საკუთრებაში სს "RMG Copper"-ს (ს/ნ 225358341) 2041 წლის 31 ოქტომბრამდე მოპოვების უფლებით.

2. სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უფროსის 2011 წლის 12 ოქტომბრის №13/441 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების:

ა) პირველი პუნქტის „ბ.ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანართი №1 ჩამოყალიბდეს ამ ბრძანებას თანდართული დანართი №1-ის შესაბამისად;

ბ) 1⁶ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

